

# საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო



საერთაშორისო  
გამჭვირვალობა  
საქართველო

თბილისი  
2017

**კვლევის ავტორები:**

სალომე ცეცხლაძე

მარიამ გოგიაშვილი

**კვლევის თანაავტორი და ხელმძღვანელი:**

მამუკა ანდლულაძე

ანგარიშის დამზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერის შედეგად ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო; ის შესაძლოა არ გამოხატავდეს USAID-ის და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

## შესავალი

“საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო” წლებია, რაც საზოგადოებრივი მაუწყებლის მონიტორინგს ახორციელებს და იკვლევს, რამდენად უზრუნველყოფილია გამჭვირვალობის, კარგი მმართველობის პრინციპების დაცვა და ზოგადად, რამდენად კარგად ასრულებს საზოგადოებრივი მაუწყებელი კანონმდებლობით დადგენილ უმნიშვნელოვანეს როლს.

წინამდებარე ანგარიშის მიზანია საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს საქმიანობის შესწავლა და შეფასება, ასევე ინსტიტუციური პრობლემების წარმოჩენა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება მათი შემდგომ ეფექტიანად გადაჭრის კუთხით.

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს შუალედური [ანგარიში](#) 2017 წლის მარტში გამოქვეყნდა, რომელიც ძირითადად წინა მენეჯმენტის დროს არსებულ მდგომარეობას მიმოიხილავდა. შესაბამისად, მიმდინარე ანგარიში მოიცავს საზოგადოებრივ მაუწყებელში ახალი მენეჯმენტის პირობებში მაუწყებელში მიმდინარე პროცესების შესწავლას და არსებული გამოწვევების დადგენას.

## ძირითადი მიზნები:

- საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოში გამოწვევად რჩება ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბება. დასამტკიცებელია ორგანიზაციის ახალი სტრუქტურა, სტრატეგიის დოკუმენტი და ტექნიკური განვითარების ხუთწლიანი გეგმა;
- საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ორგანიზაციული სტრუქტურის დამტკიცება პირდაპირ არის დაკავშირებული სათანადო სამუშაო აღწერილობების შექმნასა და ხელშეკრულებების გაფორმებასთან, სამართლიანი შრომის ანაზღაურების სისტემის ჩამოყალიბებასთან;
- გამოწვევად რჩება საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს შენობის საკითხი;
- კვლავ პრობლემურია საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს თანამშრომლების სამსახურში გამოცხადებისა და მათი მუშაობის ეფექტიანობის კონტროლი;
- საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის მრჩეველთა საბჭო კვლავ მეხუთე წევრის გარეშე მუშაობს;


## აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის შექმნა

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო 2013 წლის საკანონდებლო ცვლილებების შემდეგ შეიქმნა. წლების განმავლობაში აჭარის ტელევიზია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულებას წარმოადგენდა.

აჭარის ტელევიზია მთელ საქართველოში ვრცელდება და მის ინტერესს როგორც რეგიონში მიმდინარე პროცესების, ასევე მთელს ქვეყანაში აქტუალური საკითხების გაშუქება წარმოადგენს.

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დაფინანსება საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტის არანაკლებ 15%-ია. ბოლო სამი წლის განმავლობაში მაუწყებლის ბიუჯეტი ასე გამოიყურებოდა:

### აჭარის ტელევიზიის და რადიოს ბიუჯეტი




მიუხედავად ფინანსური რესურსებისა, აჭარის ტელევიზია დღემდე არ წარმოადგენს მნიშვნელოვან მოთამაშეს მედიასივრცეში. ხშირად ისმოდა კრიტიკა მაუწყებლის მმართველ პოლიტიკურ ძალებთან აფილირებისა.

## ახალი დირექტორი და მიმდინარე რეფორმები

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის და რადიოს მრჩეველთა საბჭომ ნათია კაპანაძის კანდიდატურას მხარი დაუჭირა და 3 წლის ვადით დირექტორად აირჩია. კაპანაძემ უფლებამოსილების შესრულება 2016 წლის 21 დეკემბერს დაიწყო. ახალი დირექტორის სახელთან ასოცირდება მაუწყებელში არაერთი რეფორმის ინიცირება და განხორციელება.

ახალი მენეჯმენტის პირობებში ტელევიზიაში შემუშავდა მაუწყებლის [სტრატეგიის](#) და [სტრუქტურის](#) დოკუმენტი. სტრუქტურის დოკუმენტის მიხედვით, გაუქმდება დირექტორის მოადგილეების რგოლი, რომელიც დამატებით ბარიერად არის მიჩნეული და რესურსები შემდეგი მიმართულებით განაწილდება:



[ტექნიკური განვითარების](#) 5 წლიანი გეგმის თანახმად, მაუწყებლის ერთიანი ტექნიკური გადაიარაღება დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული, ამიტომ ამ გეგმის მიხედვით, ის ეტაპობრივად განხორციელდება.

დოკუმენტები 2017 წლის ივლისში დასამტკიცებლად გადაეგზავნა მრჩეველთა საბჭოს, თუმცა მათ მიღებაზე მსჯელობა გაჭიანურდა. ამ ეტაპზეც მიმდინარეობს კონსულტაციები, მათ შორის არასამთავრობო სექტორთან.

ამ დოკუმენტების, განსაკუთრებით კი სტრუქტურის დოკუმენტის მიღებასთანაა დაკავშირებული მაუწყებლის განვითარებისთვის აუცილებელი ბევრი სხვა პროცესიც. ახალი სტრუქტურის დამტკიცებამდე ვერ ხერხდება თანამშრომლების სამუშაო აღწერილობების შექმნა და შესაბამისად, ადამიანური რესურსების და ფუნქციების გადანაწილება თუ კონტრაქტების გადახედვა.

**“საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს” აზრით, მნიშვნელოვანია ამ პროცესის დაჩქარება, რომ მაუწყებელმა დაგეგმოს მუშაობის მოქნილი სისტემა, დასაქმებულებს ჰქონდეთ სამართლიანი და ღირსეული ანაზღაურება, ორგანიზაციამ მოიძიოს და გამოყოს ფინანსები დაგეგმილი რეფორმების განსახორციელებლად.**

## სატელევიზიო გადაცემები და რეიტინგები

ბოლო პერიოდის განმავლობაში არხზე ბევრი ახალი/განახლებული გადაცემა და პროექტი განთავსდა. მნიშვნელოვანია, რომ აჭარის ტელევიზიასა და სტუდია “რეკს” შორის გაფორმებული მემორანდუმის თანახმად, დაიწყო ჟურნალისტური გამოძიებების სერია, რომელიც აჭარის მასშტაბით არსებულ დარღვევებს შეისწავლის.

ცალკე აღსანიშნავია, რომ რადიო “თავისუფლების” პროექტებს (სალომე ასათიანის და გოგი გვახარიას გადაცემები), რომლებსაც “პირველმა არხმა” ხელშეკრულება არ გაუგრძელა, დონორების მხარდაჭერით, აჭარის ტელევიზიაზე ვიხილავთ. გოგი გვახარიას გადაცემა [“ანარეკლები”](#) არხზე უკვე გადის. აჭარის ტელევიზიის ბადეში განთავსდა საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ დახურული კიდეგ ერთი [გადაცემა](#), რომელიც ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციას ეხება.

მიუხედავად ზემოაღნიშნული სიახლეებისა, რეიტინგი დღემდე აჭარის ტელევიზიის გამოწვევად რჩება. ტელევიზიის რეიტინგებს “ტრი მედია ინტელიჯენსი” ზომავს, რომლის მონაცემებით მაუწყებლის რეიტინგი 2017 წლის მაისში მკვეთრად დაეცა. თუ წინა წლის მაისში  $rtg\%^{1}$  0.8 იყო და ტელევიზიებს შორის მერვე პოზიციაზე იმყოფებოდა, 2017 წლის მაისში 0.16-მდე დაეცა და მეთექვსმეტე პოზიციაზე გადმოინაცვლა. ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება ისიც იყოს, რომ 2017 წელს წინა წელთან შედარებით მექანიკური პროდუქცია (ფილმები, სერიალები) შემცირდა, ხოლო რეიტინგებში ჩანს, რომ არხზე ეს პროდუქტები ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობდა. მექანიკური პროდუქცია არხის ბადის 70%-ს შეადგენდა და ხშირად არღვევდა სალიცენზიო პირობებს, რაზეც საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის და რადიოს მონიტორინგის სამსახურის [დოკუმენტშიცაა](#) საუბარი.

აჭარის ტელევიზიის რეიტინგის ვარდნის შემდეგ, მენეჯმენტმა აჭარის აუდიტორიის ქცევის შესასწავლად კვლევა “თი-ვი-ემ-არ საქართველოსაც” დაუკვეთა. კვლევაში ასახულია, ვინ უყურებს აჭარის ტელევიზიას, რა ტიპის გადაცემებია პოპულარული და [მითითებულია](#), რომ ტელევიზიისთვის “ოქროს საბადო სამომავლო პროგრამირებისთვის - საოჯახო ტელეყურების მოდელია”. დაბალი რეიტინგის მიზეზი ბადის არასტაბილურობაც შეიძლება ყოფილიყო, ვინაიდან გადაცემების დაწყების დროების და დღეების ცვალებადობა კვლავ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება.

1 მთლიანი პოპულაციიდან მაყურებელთა პროცენტული მარგენებელი

მაუწყებელში ჩატარდა შიდა იდეების კონკურსი, რომელშიც ყველა თანამშრომელს შეეძლო მონაწილეობის მიღება. კონკურსის მიზანი ახალი იდეების საფუძველზე ტელე, რადიო და ინტერნეტ პლატფორმების გაუმჯობესებაა. კონკურსის ფარგლებში თანამშრომლებმა წარმოადგინეს 53 იდეა რადიოსა და ტელევიზიაში. ამ ეტაპზე შეირჩა 6 რადიოგადაცემა, მოხდა 2 რადიოგადაცემის განახლება.

## მრჩველთა საბჭო და პრიორიტეტების შესრულება

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩველთა საბჭო 5 წევრისგან შედგება, თუმცა საბჭოს თავჯდომარემ 2016 წლის აგვისტოში თანამდებობა დატოვა და მას შემდეგ საბჭოში 4 წევრია. თავჯდომარის მოვალეობას ნატა იმედაიშვილი ასრულებს. მეხუთე წევრი აჭარის უმაღლესმა საბჭომ უნდა აირჩიოს, მაგრამ საბჭო დღემდე არ ასრულებს კანონით დაკისრებულ მოვალეობას.

მრჩველთა საბჭოს ფუნქციები [კანონითა<sup>2</sup>](#) განსაზღვრული. ის დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს საშტატო განრიგს და თანამშრომელთა თანამდებობრივ სარგოებს, სახელფასო ფონდს, ადგენს საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს თანამშრომლების შრომითი ხელშეკრულების ძირითად პირობებს და ა.შ. მასვე ევალება პროგრამული პრიორიტეტების შემუშავება და მისი კონტროლი.

პრობლემად რჩება მაუწყებლის მიერ პრიორიტეტების შესრულება. მაგალითად, არხზე არ გადის საბავშვო გადაცემები. ამასთანავე, “მაუწყებლობის შესახებ კანონის” შესაბამისად, მაუწყებელს ვალდებულია აქვს პროდუქციის 25 პროცენტი გარე წარმოებაზე გაიტანოს. დღეის მდგომარეობით, აჭარის ტელევიზიას პროდუქცია გარე წარმოებაზე საერთოდ არ აქვს გატანილი. ტელევიზიაში განმარტავენ, რომ მომდევნო წლის ბიუჯეტში აპირებენ ამ საკითხის გათვალისწინებას, თუმცა საწყის ეტაპზე პროდუქციის 8-10 პროცენტს გაიტანენ გარე წარმოებაზე და მიღებული გამოცდილებიდან გამომდინარე, განსაზღვრავენ შემდეგი წლების სამოქმედო გეგმას.

ნატა იმედაიშვილის განცხადებით, პრიორიტეტების შემუშავებისას იხელმძღვანელებს “საკუთარი გამოცდილებით, სხვისი გამოცდილებით, კვლევებითა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ფუნქციით”, თუმცა პრიორიტეტები საკმაოდ ფართოდაა ფორმულირებული და შესრულების კრიტერიუმებიც არ არის ცხადად განწერილი.

ამასთან, პროგრამული პრიორიტეტების დოკუმენტში განსაზღვრულია გადაცემების რომელ მიმართულებას დროის რა პროცენტი უნდა დაეთმოს (მაგალითად, საინფორმაციო გადაცემებს 30%, შემეცნებას - 40% და ა.შ). ფაქტობრივად, ბადეში განთავსებული გადაცემების დროის დათვლით ხდება პრიორიტეტების შესრულების შემოწმება. უმჯობესია სხვა პარამეტრებიც შემოვიდეს იმისთვის, რომ წარმოებული პროდუქციის ხარისხი გაიზარდოს.

პრიორიტეტების შემუშავებისას აუცილებელია ტელევიზიის რესურსისა და მენეჯმენტის მოსაზრებების გათვალისწინება, ასევე პროცესში მათი მაქსიმალური ჩართვა იმისთვის, რომ პრიორიტეტების შესრულება უფრო ეფექტურად მოხდეს.

2 “მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონის 399მუხლის პირველი პუნქტი

## მოტივაციის ნაკლებობა თანამშრომელთა შორის

მენეჯმენტი ახალი სტრუქტურის დამტკიცებას უკავშირებს სამსახურში თანამშრომლების მისვლის აღრიცხვიანობისა საკითხის მოგვარებას. არხის დირექტორის განცხადებით, 2017 წლის დასაწყისში თანამშრომლების 10-12% არ ცხადდებოდა ან არაჯეროვნად ცხადდებოდა სამსახურში. მაისში აღრიცხვიანობის წესის დამტკიცების შემდეგ მდგომარეობა გაუმჯობესდა. დირექტორის განმარტებით, ეს პრობლემა ასევე დაკავშირებულია იმასთანაც, რომ კონტრაქტები ინდივიდუალური არაა და სათანადოდ არაა ჩაწერილი კონკრეტული პოზიციის ადამიანისთვის სამსახურში გამოცხადება სავალდებულოა თუ მისი პოზიცია მოქნილ გრაფიკს საჭიროებს და შესრულებული სამუშაოების ოდენობაზე უნდა იყოს მიბმული.

**ფაქტია, რომ თანამშრომელთა მოტივაციის ნაკლებობა და სამსახურისადმი გულგრილი დამოკიდებულება მუწყებლის [მნიშვნელოვან](#) გამოწვევად რჩება. მნიშვნელოვანია, დროულად შეიქმნას მექანიზმი, რომელიც განსაზღვრავს, რომელ თანამშრომელს, რა ფუნქცია/მოვალეობა აკისრია და თანამშრომლების მიმართ, რომლებიც არ ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას, გატარდეს შესაბამისი ზომები.**

## შრომითი დავები

მართალია აჭარის ტელევიზიაში თანამშრომლების აყვანის წესი უფრო გამჭვირვალე გახდა, რასაც თანამშრომელთა [მიღების წესის](#) დოკუმენტის მიღება უწყობს ხელს, მაგრამ ახალი მენეჯმენტის პირობებში რამდენიმე ადამიანი გაათავისუფლეს სამსახურიდან. პირველი [გახმაურებული დავა](#) დირექტორს ნათია კაპანაძეს და ტელევიზიის მმართველთა საბჭოს (დირექტორის საკონსულტაციო ორგანო) წევრ ირაკლი ბარამიძეს შორის 2017 წლის მარტში მოხდა. გაათავისუფლების საფუძველი ერთ-ერთი ოპერატორის მიერ აჭარის ტელევიზიის ლოგოიანი კამერით ქორწილის გადაღება გახდა. კამერის აჭარის ტელევიზიიდან წაღების ნებართვა მას ბარამიძემ მისცა, მიუხედავად იმისა, რომ უფლებამოსილი პირი არ იყო. საქმე ამ ეტაპზე სასამართლოშია.

კიდევ ერთი ხმაურიანი საქმე 2017 წლის მარტში გადაცემა “ჰეშთეგის” წამყვანის ნინო გორჯელაძის ტელევიზიიდან წასვლა აღმოჩნდა. მან გაავრცელა ვიდეომიმართვა, სადაც საუბრობდა, რომ დირექტორთან დაპირისპირება შრომით ხელშეკრულებაში რამდენიმე საკითხის დამატების მოთხოვნამ გამოიწვია, კერძოდ, წამყვანის თქმით, ის ითხოვდა სარედაქციო დამოუკიდებლობის პირობის ჩადებას, გადაცემის გუნდის გაზრდას, ანაზღაურების 300 ლარით მომატებას, რვასაათიან სამუშაო გრაფიკსა და უქმე დღეებში სამსახურეობრივი მოვალეობისგან გაათავისუფლებას. [გორჯელაძემ ტელევიზია](#) დატოვა და კომპენსაციად 2 თვის ანაზღაურება მიიღო. გორჯელაძე სახალხო დამცველის აპარატში დირექტორის მხრიდან დისკრიმინაციულად მოპყრობისს გამო ჩიოდა, თუმცა საქმე დისკრიმინაციული ნიშნების არარსებობის გამო შეწყდა.

დირექტორის წინააღმდეგ დისკრიმინაციის ბრალდებით [პროკურატურაში](#) იურიდიული სამსახურის მაშინდელმა უფროსმა მალხაზ ბოლქვაძემაც იჩივლა. დისკრიმინაციად კაპანაძის მხრიდან ისეთი დავალებების მიცემა დაასახელა, რომელიც მის მოვალეობაში არ შედიოდა, ასევე მისი თქმით, დირექტორი შვებულებაში არ უშვებდა და ავადმყოფობის დროსაც სთხოვდა სამსახურში მისვლას. ნათია კაპანაძის განცხადებით კი, ბოლქვაძე მიცემულ დავალებებს არ ასრულებდა, რაც გახდა მათ შორის უკმაყოფილების მიზეზი. შესაძლო დისკრიმინაციული ფაქტების შესწავლის ვალდებულება სახალხო დამცველს



ეკისრება. ბოლქვაძის მიერ პროკურატურაში ჩივილით კი ნათია კაპანაძეს ეჭვი გაუჩნდა, რომ პროცესი შეიძლება მართული ყოფილიყო იმ ძალების მიერ, რომელთაც შესაძლოა არ სურდათ მაუწყებლის სარედაქციო დამოუკიდებლობა. მოგვიწოდებთ ბოლქვაძე სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობის გამო სამსახურიდან გათავისუფლდა და ისიც სასამართლოში ჩივის.

## შესყიდვები

პრობლემურად რჩება მაუწყებლის მიერ განხორციელებული შესყიდვები. 2015-2016 წლის [აუდიტის](#) ანგარიშის მიხედვით ორგანიზაციაში არაერთი პრობლემა გამოიკვეთა. მათ შორის შემთხვევები, როცა შესყიდვის კატეგორია და მიწოდებული მომსახურება შეუსაბამოა, გამარჯვებულ კომპანიასთან ხელშეკრულებების ცვლილება დაუსაბუთებლად ხორციელდება ან ისეთი კომპანიები იმარჯვებენ, რომელსაც ტენდერით მოთხოვნილი ყველა დოკუმენტი არ აქვთ წარდგენილი და ა.შ.

შესყიდვებთან დაკავშირებული კითხვის ნიშნები „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ 2017 წლის მარტში გამოქვეყნებულ [ანგარიშშიც](#) მოხვდა, რამაც ცხადყო, რომ პრობლემა წელსაც აქტუალურია.

მაგალითად, 2017 წლის მაისში გამოცხადდა ტენდერი ნომრით SPA170007185, რომლითაც საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიამ და რადიომ სარემონტო სამუშაოების მომსახურება შეიძინა. მოგვიანებით ხელშეკრულებაში ცვლილებები შევიდა და თანხა ისე გაიზარდა, რომ ცვლილების აუცილებლობა დასაბუთებული არ ყოფილა.

მაუწყებლის მიერ 2017 წელს გაცხადებულ თითქმის არცერთ ტენდერში არ გვხვდება შემსყიდველის მხრიდან პრეტენდენტის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაციის მოთხოვნა.

## ტელევიზიის შენობა და სამუშაო გარემო

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოში ისევ მწვავედ დგას დასაქმებულთა სათანადო სამუშაო პირობების პრობლემა. ჟურნალისტების არასათანადო შენობაში მუშაობის შესახებ „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“ 2017 წლის მარტში გამოქვეყნებულ [კვლევაშიც](#) წერდა. აჭარის ტელევიზიის შენობას კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი აქვს, რაც მას სარემონტო სამუშაოებისგან ზღუდავს. აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტებს უწევთ ისეთ შენობაში მუშაობა, რომელიც არ არის უსაფრთხო და მუშაობისთვის ადაპტირებული. სიმჭიდროვის გამო მაუწყებელი იძულებულია შენობის გარეთაც ჰქონდეს სტუდიები.

საქმეს ართულებს ის გარემოება, რომ ეს შენობა და ზოგადად მაუწყებლის მიერ 2014 წლამდე შეძენილი ნებისმიერი ქონება, მათ შორის რამდენიმე მიწის ნაკვეთი და მათზე მდებარე შენობა-ნაგებობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ბალანსზე ირიცხება, შესაბამისად მაუწყებელი მოკლებულია შესაძლებლობას, განკარგოს ის.

აჭარის ტელევიზიის და რადიოს 2017 წლის [მესამე კვარტლის](#) ანგარიშის მიხედვით, დროებით გამოსავლად ნაპოვნია ტელევიზიის მესამე სართულის გარემონტება. ამ ეტაპზე იქ ტელევიზიის ნაწილია განთავსებული, თუმცა წყალი ჩამოდის და მუშაობისთვის არასათანადო პირობებია.

“საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო” მიიჩნევს, რომ აჭარის მთავრობასთან მოლაპარაკებები უნდა დაჩქარდეს, რაშიც აქტიურად უნდა ჩაერთოს აჭარის უმაღლესი საბჭოც იმისთვის, რომ მიიღონ კონკრეტული გადაწყვეტილებები აღნიშნულ ქონებებთან დაკავშირებით და წლების განმავლობაში არსებული პრობლემა საბოლოოდ გადაიჭრას, მით უფრო, რომ საკითხი დაკავშირებულია ისეთ მნიშვნელოვან თემებთან, როგორცაა ჟურნალისტებისთვის უსაფრთხო და ღირსეული სამუშაო პირობების შექმნა.

## რადიო

[ცვლილებები](#) საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის რადიოს პლატფორმასაც შეეხო. შეთანხმდა ახალი გადაცემების ეთერში გასვლის საკითხი. თუმცა პრობლემურია ხელისუფლების აქტივობების ვრცლად გაშუქება, [ნაკლებად](#) კრიტიკული კითხვები და მმართველი გუნდის განსაკუთრებით პოზიტიური კონტენტით ჩვენება.

რადიოს პრობლემაა ისიც, რომ სიგნალი თბილისამდე ვერ აღწევს, რაც დირექტორის თქმით, საკანონმდებლო ცვლილებებს საჭიროებს.

## ვებგვერდი

რაც შეეხება საიტს, მისთვის ცალკე კონტენტი იქმნება, სადაც ვიზიტორების რაოდენობამ მოიმატა. თუ 2017 წლის მარტამდე ვებგვერდზე დღეში საშუალოდ 1000-1500 ადამიანი შედიოდა, დღეისათვის საშუალოდ 4000-5000 ათასი ადამიანი სტუმრობს. გაიზარდა ფეისბუქის გვერდზე აქტიურობაც.

## რეკომენდაციები:

- მოკლე დროში უნდა დამტკიცდეს ორგანიზაციის სტრატეგიის, სტრუქტურის დოკუმენტი და ტექნიკური განვითარების ხუთწლიანი გეგმა. შესაბამისად, შეიქმნას სამუშაო აღწერილობები, გადაიხედოს კონტრაქტები და ჩამოყალიბდეს სამართლიანი სახელფასო პოლიტიკა.
- უნდა შეიქმნას ეფექტური სისტემა, რათა მოხდეს თანამშრომლების სამსახურში გამოცხადების აღრიცხვა და მათი მუშაობის ეფექტიანობის შესწავლა;
- აჭარის მთავრობამ აჭარის ტელევიზიასა და რადიოს ხელმძღვანელ პირებთან მოლაპარაკებების გზით დროულად უნდა გადაწყვიტოს აჭარის ტელევიზიისა და რადიოს შენობის საკითხი, რაშიც აჭარის უმაღლესი საბჭოც აქტიურად უნდა ჩაერთოს;
- აჭარის უმაღლესმა საბჭომ უნდა შეასრულოს კანონის მოთხოვნა და აირჩიოს მრჩეველთა საბჭოს მესამე წევრი;
- მრჩეველთა საბჭოსა და მენეჯმენტის ურთიერთობა უნდა იყოს უფრო აქტიური, რაც შედეგების ეფექტურობასაც გაზრდის;
- მრჩეველთა საბჭოს მიერ საზოგადოებრივი მაუწყებლის ტელევიზიისა და რადიოსთვის შემუშავებული პრიორიტეტები უნდა იყოს უფრო ცხადი და უნდა დაიხვეწოს მისი შესრულების მექანიზმები.